სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის მარიანა ფომაევას შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	23	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	10
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	87	100

გიორგი გზობავა

თარიღი : 06.12.2024 წ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გიორგი გზობავა

„6 “ დეკემბერი, 2024 წელი **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ, მივიღე რა მონაწილეობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვახდინე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **მარიანა ფომაევას**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. შეფასების პროცედურის შესახებ:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით, ჩატარდა საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეთა 38 ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 15 ნოემბრის №1/119 განკარგულების შესაბამისად, მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მიზნით, დარეგისტრირდა **მარიანა ფომაევა.**

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა და წარმოუდგინა საბჭოს ინფორმაცია შესაბამისი კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

- „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2024 წლის 3 დეკემბერს, ჩემი მონაწილეობით, ჩატარდა კანდიდატის - **მარიანა ფომაევას** საჯარო მოსმენა.

- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, ,,კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი, შევაფასე - ამავე ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, **მარიანა ფომაევა** გამოირჩევა კეთილსინდისიერებით, კომპეტენტურობით, პატიოსნებით, შრომისმოყვარეობით და სამართლიანობით. მას სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა და ფინანსურ ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. ამასთან, კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას - გამოკითხული რეკომენდატორები და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები აფასებენ დადებითად.

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ საანგარიშო პერიოდში, **მარიანა ფომაევას** უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის 56 ფაქტი, დაკისრებული სანქციები (ჯარიმები) გადახდილია დროულად.

შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არ იკვეთება რაიმე სახის შეუსაბამობა ან წინააღმდეგობა კანდიდატის ქონებრივ მდგომარეობას, მის შემოსავლებს და ვალდებულებებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წინააღმდეგობა მოსამართლეობის კანდიდატის ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის.

დასკვნა: ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კანდიდატი აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს, მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი კანდიდატი - **მარიანა ფომაევა** **სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

მარიანა ფომაევა არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულები - 81/16.
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 12.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - *„სამოქალაქო სამართალში* - აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას, აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. რეკომენდირებულია მან იმუშაოს დროის მართვის და კონცენტრაციის უნარების უფრო მეტად განვითარებაზე. არის ორგანიზებული, თანმიმდევრული, კომუნიკაბელური, ბეჯითი და შრომისმოყვარე, გაწონასწორებული პიროვნება. გააჩნია პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა. *ადმინისტრაციულ სამართალში* - მარიანა ფომაევას, აქვს ადმინისტრაციული სამართლის

თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი და დასაბუთებული მსჯელობა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები აკმაყოფილებს საპროცესო დოკუმენტებისთვის დადგენილ ფორმალურ და სტილისტურ სტანდარტს. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილების პროექტები წერილობით თანმიმდევრულად და ლაკონურად არის ჩამოყალიბებული. იგი არის გაწონასწორებული, შრომისმოყვარე, პასუხისმგებლიანი უაღრესად დადებითი და წესიერი ადამიანი. პროექტებზე მუშაობისას იგრძნობოდა მსმენელის მხრიდან ადმინისტრაციული სამართლის ცოდნა. საკუთარ აზრს გამოხატავდა სწორად, საკმაოდ კარგად ახდენდა მის დასაბუთებას და სიღრმისეულ გამყარებას. არის მიზანდასახული, შრომისმოყვარე ადამიანი, რომელსაც გააზრებული აქვს საკუთარი არჩევანის მნიშვნელობა და შესწევს უნარი წარმატებით გაართვას თავი მოსამართლის საქმიანობას. *სისხლის სამართალში* - მარიანა ფომაევას, აქვს კარგი თეორიული ცოდნა და სწორი ანალიზის უნარი. თავის პოზიციას გადმოცემს ლოგიკურად და თავდაჯერებულად. არის კომუნიკაბელური და თავაზიანი. შეუძლია სწორად განსაზღვროს საკითხის პრიორიტეტულობა. სამართლებრივი შეფასებისას ყურადღებას ამახვილებს ევროსასამართლოს და ეროვნული სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკაზე და მათ იყენებს პრაქტიკაში. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები აზრობრივად გამართულია. მისი უნარები და თეორიული ცოდნა სრულად შეესაბამება სამომავლოდ სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებას. რეკომენდირებულია მან იმუშაოს დროის მართვის და კონცენტრაციის უნარების უფრო მეტად განვითარებაზე. შესაფასებელ პირს, რომელიც სამოქალაქო სამართლის სპეციალისტია, სისხლის სამართალში აქვს სათანადო თეორიული ცოდნა, რასაც წარმატებით გამოიყენებს პრაქტიკაში. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი. შეუძლია სწორი არგუმენტების მოძიება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. მის მიერ შესრულებული სამუშაოები თანმიმდევრულადაა ჩამოყალიბებული. რეკომენდებულია მან იმუშაოს სემინარული მუშაობისას დაშვებული მცირე შეცდომების გამოსწორებაზე და სისხლის სამართალში წერილობითი უნარების უფრო მეტად განვითარებაზე."

მარიანა ფომაევასთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად, ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს სამოქალაქო სამართალის ნორმებს, საპროცესო კანონმდებლობას, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს და ეცნობა კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს. კანდიდატი სწორად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს.

<u>დასკვნა:</u> კომპეტენტურობის კრიტერიუმით (სამართლის ნორმების ცოდნა) შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მარიანა ფომაევა** უნდა შეფასდეს 23 ქულით (მაქსიმალური ქულა 25)

<u>2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კანდიდატს აქვს პროფესიით მუშაობის რვაწლიანი გამოცდილება და გამოკითხული რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან და რეკომენდაციებიდან გამომდინარე, მას კარგად აქვს განვითარებული კოგნიტური უნარები, რაც გამოიხატება პრობლემის გადაჭის,

განსჯის და კრიტიკული აზროვნების უნარებში, სწორი ლოგიკური დასკვნების გამოტანასა და გადაწყვეტილებების მიღებაში.

კანდიდატს შეუძლია მარტივად და გასაგებად განმარტოს კანონები და კომპეტენტურად ისაუბროს სამართლის სხვადასხვა სფეროს ირგვლივ. საჯარო მოსმენაზე დასმულ შეკითხვებს უმეტესწილად პასუხობდა სწორად, გასაგებად და საგნობრივად.

<u>დასკვნა:</u> სამართლებრივი დასაბუთების და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მარიანა ფომაევა** უნდა შეფასდეს 23 ქულით (მაქსიმალური ქულა 25).

<u>2.3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>

მარიანა ფომაევას გააჩნია ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი, ზეპირი კომუნიკაციის დროს იცავს ეთიკის წესებს. ამასთან, იგი ღიად და თავისუფლად გამოხატავს თავის პოზიციასა და შეხედულებებს. კანდიდატი საჯარო მოსმენაზე მსჯელობდა არგუმენტირებულად, საკუთარ შეხედულებებს გადმოსცემდა ნათლად და გასაგებად.

კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია ან ნაშრომი. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - მარიანა ფომაევა, გასაგები ენით გადმოსცემს სამართლებრივ მსჯელობას და ზედმიწევნით სწორად აყალიბებს. მის მიერ მომზადებული საპროცესო დოკუმენტები არ იყო გადატვირთული არამიზნობრივი მსჯელობით, გადაწყვეტილებების პროექტების წერისას საქმის გარემოებებს აფასებდა სწორად, გამართულად აყალიბებდა აზრს, თუმცა შეინიშნებოდა პუნქტუაციური და სტილისტური შეცდომები. მარიანა ფომაევას, აქვს უნარი პრობლემები ჩამოაყალიბოს სტრუქტურირებულად ზეპირად. ამომწურავად გადმოსცემს აზრს და აქვს კომუნიკაციის უნარი. გადაწყვეტილებებზე მსჯელობისას საკუთარ აზრს გადმოსცემდა გასაგებად, მეტყველებდა გამართული ქართულით და ყურადღებას ამახვილებდა საქმის მასალების მნიშვნელოვან ასპექტებზე.

<u>დასკვნა:</u> წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მარიანა ფომაევა** უნდა შეფასდეს 18 ქულით (მაქსიმალური ქულა 20).

<u>2.4. პროფესიული თვისებები</u>

რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივი თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან გამომდინარე, კანდიდატი არის პუნქტუალური, შრომისმოყვარე, გულმოდგინე და მიზანდასახული, აქვს სხვადასხვა საკითხებზე ნათლად და არგუმენტირებულად მსჯელობის უნარი.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული თვისებების კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მარიანა ფომაევა** უნდა შეფასდეს 14 ქულით (მაქსიმალური ქულა 15).

<u>2.5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>

მარიანა ფომაევა არის ღია სიახლეების მიმართ, ორიენტირებულია თვითგანვითარებაზე.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

მარიანა ფომაევას ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა.

<u>დასკვნა:</u> აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მარიანა ფომაევა** უნდა შეფასდეს 5 ქულით (მაქსიმალური ქულა 10).

<u>2.6. პროფესიული აქტივობა</u>

მოცემული კრიტერიუმებით **მარიანა ფომაევას** შეფასებისას, აღსანიშნავია, რომ კანდიდატს გააჩნია პროფესიული ზრდის სურვილი, ახალი ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით იგი აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა ტრენინგსა და სასწავლო კურსში, კერძოდ:

- 2023 წლის აპრილი, Trauma-Informed Interviewing - OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR);
- 2023 წლის იანვარი, რელიგიისა და რწმენის თავისუფლება - ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, ოსლოს უნივერსიტეტი;
- 2022 წლის დეკემბერი, გენდერული ზეგავლენის შეფასება (TOT) - ევროკავშირი საქართველოსთვის;
- 2020 წლის თებერვალი, კომუნიკაციის სტანდარტები - ევროკავშირი საქართველოსთვის, იუსტიციის უმაღლესი საბჭო და სხვა.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული აქტივობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მარიანა ფომაევა** უნდა შეფასდეს 4 ქულით (მაქსიმალური ქულა 5).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **მარიანა ფომაევა <u>სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს</u>**, მისი შეფასების შედეგად, საერთო ქულათა რაოდენობამ შეადგინა 87 (ოთხმოცდა შვიდი) ქულა.

გიორგი გზობავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი